დანართი №1

სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე:
სახელი, გვარი: შორენა ალაგარდაშვილი

წევრები:
სახელი, გვარი: თამარ ჯანგულაშვილი (დარგის ექსპერტი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი I. შესავალი
I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საიდენტიფიკაციო კოდი: 222727985

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

■ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☐ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):

☐ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

■ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**
- ■ **საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 4 ივნისის №668675 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა მონიტორინგის ვიზიტის განხორციელება სსიპ – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში, ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების მიზნით. მონიტორინგი განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე და მოიცავდა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის ბ.ბ) კომპონენტისა და დ) ქვეპუნქტის დ.ა) კომპონენტის შესრულების გადამოწმებას.

ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა წინასწარ შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიმუშავა მონიტორინგის ვიზიტის დღის წესრიგი და განახორციელა ვიზიტი სსიპ – ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში (მისამართი: ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოლაჯური). ვიზიტის ფარგლებში დეტალურად გადამოწმდა დაწესებულებაში არსებული დოკუმენტაცია, შესაბამისი მექანიზმები და დანერგილი პრაქტიკა, ასევე ჩატარდა გასაუბრებები დაწესებულების წარმომადგენლებთან, სტუდენტებთან და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებთან. დოკუმენტაციის ანალიზისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა დასკვნა, რომელშიც ასახულია მონიტორინგის შედეგები.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების საკითხები, კერძოდ:

N	წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციის აღწერა	ინფორმაცია შესრულების შესახებ
4.1.1.2	დაწესებულება ნაწილობრივ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნებთან. დაწესებულებამ უზრუნველყოს ორგანიზაციის სტრუქტურაში პროფესიული განათლების მიმართულების ინტეგრირებით დაწესებულებების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება, შესაბამისობის გეგმის მიხედვით.	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება. შედეგად, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია და ხარვეზი აღარ იკვეთება.
2.2.1.1.	დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ადგილზე დათვალიერებისა და შესყიდვების დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე, დადასტურდა, რომ დაწესებულებამ 2.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, უზრუნველყო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსების შეძენა. შედეგად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია შესრულებულია და შესაბამისი ხარვეზი აღარ იკვეთება.
2.2.1.2	დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან. დაწესებულებამ უნდა უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობისთვის საჭირო რაოდენობის ადამიანური რესურსის მობილიზება შესაბამისობის გეგმის მიხედვით.	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, რაც გამოიხატება ერთ მოდულზე მინიმუმ ორი განმახორციელებლის არსებობით. რეკომენდაცია გათავლისწინებული და შესრულებულია.
2.2.1.3	დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან. დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარება პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენციის გაძლიერების მიზნით,	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულება პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის შესაბამისი კომპეტენციების განვითარების მიმართულებით ახორციელებს შესაბამის ღონისძიებებს, მათ შორის უზრუნველყოფს მათ ჩართულობას პროფესიული განვითარების ტრენინგებში.
2.2.1.4	დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან. დაწესებულებამ უზრუნველყოს პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული განვითარება პროფესიული განათლების მიმართულებით, შესაბამისობის გეგმის მიხედვით.	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებას შერჩეული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი, რომელიც წარმოადგენს დარგის სპეციალისტს. პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ იგი ფლობს პოზიციისათვის საჭირო საბაზისო კომპეტენციებს და გავლილი აქვს შესაბამისი ტრენინგები.
2.2.1.5	დაწესებულება მეტწილ შესაბამისობაშია ინდიკატორის მოთხოვნასთან. ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით, დაწესებულებამ უზრუნველყოს საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.	მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებამ გაატარა საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები და უზრუნველყო შესაბამისი ელექტრონული რესურსის განთავსება სკოლის ბიბლიოთეკაში, რაც ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ისე სტუდენტებისთვის. შესაბამისად, რეკომენდაცია თავალისწინებული და შესრულებულია.

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არ გამოვლენილა

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2.2	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაციები არ გაცემულა

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

2.2.1.3 ინდიკატორი *დაწესებულებამ გააგრძელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პროფესიული განვითარების სისტემური დაგეგმვა და განხორციელება, პერსონალის საჭიროებების იდენტიფიცირებაზე დაყრდნობით, განსაკუთრებით პროფესიული პროგრამის სწავლებისა და შეფასების სპეციფიკის მიმართულებით.*

2.2.1.4. ინდიკატორი *- დაწესებულებამ პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული განვითარების მხარდაჭერა განაგრძოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სპეციფიკისა და შეფასების მიმართულებით, რაც ხელს შეუწყობს პროგრამის ხარისხიანი განვითარებისა და განხორციელების პროცესის კიდევ უფრო გაძლიერებას.*

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა ზოგადი სახის რეკომენდაცია *- დაწესებულებამ უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ცნობადობის ამაღლება შესაბამისი ღონისძიებების გატარებით როგორც სკოლის მოსწავლეებში, ასევე ადგილობრივ მოსახლეობაში.*

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

სსიპ - ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლის ადმინისტრაცია სრულად იზიარებს და ეთანხმება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას, რომელიც მომზადდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2026 წლის 4 ივნისის №668675 ბრძანების საფუძველზე, 2026 წლის 16 ივნისს განხორციელებული მონიტორინგის ვიზიტის შედეგად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებაში სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები, მოვალეობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები არა მხოლოდ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტშია განსაზღვრული, არამედ ასახულია პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებშიც. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზმა აჩვენა, რომ შესაბამის პოზიციებზე დასაქმებულ პირებთან დადებული ხელშეკრულებები და ხელშეკრულებებში შეტანილი ცვლილებები შინაარსობრივად შეესაბამება პერსონალის სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს, რაც ფუნქციათა განაწილების სიცხადესა და ორგანიზაციული მართვის მოწესრიგებულობას დამატებით ადასტურებს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.1 - დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

წინა ვიზიტის ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მიუხედავად იმისა, სკოლას შემუშავებული ჰქონდა პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა, აგრეთვე პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების მარეგულირებელი დოკუმენტი, პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება დამატებით დაზუსტებასა და პერსონალთან უფრო მკაფიო კომუნიკაციას საჭიროებდა, რათა ძირითადი და დამხმარე საგანმანათლებლო პროცესების განხორციელება მეტად სრულყოფილად უზრუნველყოფილიყო. ამ მიზნით დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელშიც განსაზღვრული იყო განსახორციელებელი აქტივობები, პასუხისმგებელი პირები და ვადები.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული მიმართულებით ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება უფრო მკაფიოდ მოაწესრიგა. წარმოდგენილი განახლებული სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრულია პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროფესიული განათლების კოორდინატორის, პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, პროფესიული განათლების მიზნებისთვის შესყიდვების სპეციალისტისა და რეესტრის წარმოების სპეციალისტის ფუნქცია-მოვალეობები, ხოლო პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესწავლით გამოიკვეთა, რომ შესაბამის პოზიციებზე დასაქმებულ პირთა ვალდებულებები შინაარსობრივად თანხვედრაშია მათთვის განსაზღვრულ სამუშაო აღწერილობებთან. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციებისა და მოვალეობების განაწილება ამ ეტაპზე მეტად უწყობს ხელს პსდ-ის ძირითადი საქმიანობის ორგანიზებულ და თანმიმდევრულ განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.2 - დაკმაყოფილებულია.

3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული ფუნქციები დოკუმენტურად არის განსაზღვრული და შესაბამის პასუხისმგებელ პირებზე ისეა განაწილებული, რომ უზრუნველყოფილი იყოს პროცესების ობიექტურობა, გამჭვირვალობა და შიდა შეფასების მექანიზმების სანდოობა. წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტი ხარისხის მართვას განიხილავს როგორც დამოუკიდებელ და უწყვეტ პროცესს, რომელიც მოიცავს საქმიანობის შეფასებას, მონიტორინგს, რეკომენდაციების შემუშავებას, შედეგების ანალიზსა და შემდგომი გაუმჯობესების დაგეგმვას. ამასთან, ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის ფუნქციები, მათ შორის მონიტორინგის, თვითშეფასების, რეკომენდაციების შესრულების კონტროლის, შეფასების პროცესის ვერიფიკაციისა და პერსონალის განვითარების საჭიროებების კვლევის მიმართულებით, მკაფიოდ არის გაწერილი როგორც სამუშაო აღწერილობებში, ისე შესაბამის სახელშეკრულებო დოკუმენტაციაში. ასევე, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში პრაქტიკულად გამოიყენება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები, კერძოდ, სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის ინსტრუმენტები, რომლებიც მოიცავს სწავლა-სწავლების ხარისხის, შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სისტემის, სასწავლო რესურსების, ინფრასტრუქტურის, ადმინისტრაციული მომსახურებისა და სტუდენტთა მხარდაჭერის საკითხებს. დოკუმენტებში ასახულია გამოკითხვის შედეგებზე დაფუძნებული რეკომენდაციები, გაუმჯობესების მიმართულებები, ეტაპობრივი დაგეგმვის ელემენტები და განმეორებითი მონიტორინგის მექანიზმები, რაც ადასტურებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი დაწესებულებაში არა მხოლოდ ფორმალურად არის განსაზღვრული, არამედ რეალურადაც გამოიყენება საგანმანათლებლო პროცესის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციები და სხვა ადმინისტრაციული თუ საგანმანათლებლო პასუხისმგებლობები ერთმანეთისგან საკმარისად არის გამიჯნული, რაც ინტერესთა კონფლიქტის რისკს ამცირებს და ხელს უწყობს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის მიუკერძოებელ და ეფექტიან ფუნქციონირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.1.3 - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პერსონალის სამუშაო აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- პერსონალის მართვის პოლიტიკა
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები
- ხელშეკრულებები და შეთანხმებები
- ხარისხის გეგმა
- ხარისხის სპეციალისტის მიერ განხორციელებული პროცესების ამსახველი დოკუმენტაცია

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას, მათ შორის საქართველოს ორგანულ კანონს „საქართველოს შრომის კოდექსი", აგრეთვე დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს: შინაგანაწესსა და პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკას. კერძოდ, დირექტორის მიერ დამტკიცებული პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა განსაზღვრავს პერსონალის მართვის უწყვეტ ციკლს, რომელიც მოიცავს ორგანიზებასა და დაგეგმვას, ორგანიზაციაში შემოსვლას, სამუშაოს მართვასა და ორგანიზაციიდან გასვლას, ხოლო შინაგანაწესი ვრცელდება დასაქმებულ პირებზე, პროფესიულ სტუდენტებსა და დაწესებულების სივრცეში მყოფ სხვა პირებზე, სავალდებულოა შესასრულებლად და წარმოადგენს შრომითი ურთიერთობის მარეგულირებელი ჩარჩოს ნაწილს. ამასთან, შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის ვალდებულება, გაეცნოს დოკუმენტს და დაადასტუროს ეს ხელმოწერით, რაც შიდა რეგულაციების პრაქტიკულ აღსრულებასა და მათი გამოყენების სავალდებულო ხასიათს უსვამს ხაზს. აღნიშნული ადასტურებს, რომ პერსონალის შერჩევის, დასაქმების, სამუშაო პროცესის მართვის, შეფასებისა და სხვა თანმდევი პროცედურების განხორციელება დაწესებულებაში ხორციელდება სამართლებრივი და შიდა ნორმატიული საფუძვლების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას, თანმიმდევრულობასა და ორგანიზაციულ მოწესრიგებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.1 - დაკმაყოფილებულია.

2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები განსაზღვრულია იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ვაკანტური პოზიციებისათვის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვა და შერჩევა ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვით. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკის მიხედვით, საკადრო საჭიროების არსებობის შემთხვევაში შერჩევის პროცესი უკავშირდება პოზიციისათვის დადგენილ სამუშაო აღწერილობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ხოლო კანდიდატთა შეფასება შესაძლებელია განხორციელდეს გასაუბრების, ტესტირების ან სხვა შესაბამისი ფორმატის გამოყენებით. ამასთან, ინტერვიუს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფარგლებში გამოიკვეთა, რომ რეგიონული სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოძიება გარკვეულ სირთულეებს უკავშირდება, რის გათვალისწინებითაც დაწესებულებისთვის მნიშვნელოვნია საკადრო საჭიროებების წინასწარი იდენტიფიცირება და შერჩევის პროცესის ორგანიზაციული მოქნილობით წარმართვა. აღნიშნული მიუთითებს, რომ დაწესებულებაში პერსონალის შერჩევასთან დაკავშირებული მიდგომები და პროცედურები დოკუმენტურად მოწესრიგებულია და ქმნის შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კადრების მოზიდვისა და დასაქმების სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.2 - დაკმაყოფილებულია.

3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცესში მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა კანდიდატის კვალიფიკაციის შესაბამისობას კონკრეტული პოზიციის მოთხოვნებთან. აღნიშნული დასტურდება როგორც პოზიციებისათვის განსაზღვრული სამუშაო აღწერილობებითა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებით, ისე წარმოდგენილი სახელშეკრულებო დოკუმენტაციის ანალიზით. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა შერჩევის პროცესს უკავშირებს წინასწარ განსაზღვრულ კრიტერიუმებს, რომლებიც მოიცავს თანამდებობისათვის საჭირო ცოდნას, გამოცდილებას, უნარებსა და პროფესიულ კომპეტენციებს. ამასთან, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პერსონალის შერჩევისა და დანიშვნისას გათვალისწინებულია პოზიციის შესაბამისი განათლების, გამოცდილებისა და ფუნქციური შესაბამისობის საკითხები, რაც ქმნის საფუძველს, რომ შერჩეული პერსონალი შეესაბამებოდეს დაკავებული თანამდებობების მოთხოვნებს. აღნიშნული მიუთითებს, რომ დაწესებულებაში პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და დოკუმენტურად გაწერილი კრიტერიუმების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.3 - დაკმაყოფილებულია.

4. **პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის**

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სოფელ ბოლაჯურის საჯარო სკოლაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული პრაქტიკა დაფუძნებულია თანამშრომელთა ჩართულობის, სამართლიანობის, თანასწორობისა და პროფესიული განვითარების პრინციპებზე. პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა პირდაპირ განსაზღვრავს სამართლიანობის, თანასწორობის, თანაბარი შესაძლებლობების, გამჭვირვალობისა და მონაწილეობის პრინციპებს, ხოლო პროფესიული განვითარების მიმართულებით დაწესებულების პასუხისმგებლობას უკავშირებს როგორც პროფესიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლების, ისე ადმინისტრაციული პერსონალის საჭიროებებზე ორიენტირებულ მხარდაჭერას. ამასთან, დოკუმენტით გათვალისწინებულია შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის ჩართულობა, შეფასების შედეგებზე უკუკავშირის მიწოდება და შესაბამისი კომუნიკაციის მექანიზმების გამოყენება, რაც მონაწილეობით მენეჯმენტზე მიუთითებს. შინაგანაწესი დამატებით აწესრიგებს შრომით ურთიერთობებს, თანამშრომელთა უფლებებსა და ვალდებულებებს, წახალისებისა და პასუხისმგებლობის ფორმებს, აგრეთვე ორგანიზაციული კომუნიკაციისა და შიდა წესრიგის საკითხებს, რაც ქმნის თანამშრომლობაზე, ურთიერთპასუხისმგებლობასა და ორგანიზაციულ მოწესრიგებაზე დაფუძნებულ სამუშაო გარემოს. აღნიშნული მიუთითებს, რომ დაწესებულებაში პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ხელს უწყობს თანამშრომელთა ჩართულობას, ღია კომუნიკაციას, პროფესიულ მხარდაჭერასა და დაწესებულების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ გარემოს ფორმირებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 4.1.2.4 - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- დაწესებულების შინაგანაწეს
- პერსონალის მართვისა და განვითარების პოლიტიკა
- პერსონალის პირადი საქმე
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ადმინისტრაციული სერვისები
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ადმინისტრაციულ სერვისებში
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ადიგენის მუნიციპალიტეტი, სოფელი ბოლაჯური
პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში)	იმიტირებული
დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	20
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	20
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე)	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	92
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	100

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი
ცხრილი ივსება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე.
IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი/კომპონენტი	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

წინა ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ „ადმინისტრაციული სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული იყო პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა, რომელიც ეფუძნებოდა პროგრამის ინფრასტრუქტურულ, რესურსულ და საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, თუმცა პროგრამისთვის გამოყოფილი სივრცეები არ იყო სათანადოდ აღჭურვილი შესაბამისი მატერიალური რესურსით. ამასთან, დაწესებულებას დამტკიცებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა, რომლითაც პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსის მობილიზება განსაზღვრული იყო არაუგვიანეს 2025 წლის სექტემბრისა.

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ ადგილზე დათვალიერების, შესყიდვებთან დაკავშირებული დოკუმენტაციისა და მიღება-ჩაბარების აქტების შესწავლის შედეგად პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსი დაწესებულებაში სრულად ხელმისაწვდომია. შესყიდვების დოკუმენტაციის მიხედვით, მატერიალური ბაზა სრულად არის უზრუნველყოფილი და მოდერნიზებული შემდეგი მიმართულებებით: *პროფესიული და სასწავლო ავეჯი:* შპს „ჯიენსი ჯგუფი 24“-თან გაფორმებული ხელშეკრულებების (№361 და №346) ფარგლებში შესყიდულია სტუდენტისა და პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილები (მაგიდები კომპიუტერის კაბელსატარებით, ტიხრებითა და პროცესორის სადგამებით), ასევე თაროებიანი და ჩამკეტიანი ორკარიანი კარადა.

ტექნოლოგიური აღჭურვილობა და უსაფრთხოება: შპს „ულტრა“-სა (ხელშეკრულება №262) და შპს „ბედი ჯგუფ“-თან (კონსოლიდირებული ტენდერი CON240000575, ხელშეკრულება №255) თანამშრომლობით, სასწავლო სივრცე აღიჭურვა Patriot-ის 64 GB მეხსიერების ბარათებით, Trust Avora-ს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დინამიკებითა და EAST-ის ფირმის 11 ცალი სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი (UPS), რაც უზრუნველყოფს ტექნიკის გამართულ და უსაფრთხო მუშაობას.

ესთეტიკური და სასწავლო გარემოს მოწყობა: შპს „ჩემი სახლი"-სგან (ხელშეკრულება №232) მიღებულია შესაბამისი დეკორატიული მცენარეები და ყვავილები გარემოს კეთილმოწყობისთვის. ვიზუალური დათვალიერებით დადასტურდა, რომ A და B გარემო მოწყობილია ერთიან სივრცეში, აღჭურვილია ზემოაღნიშნული ინვენტარით და სრულად არის მორგებული პროფესიული პროგრამის სპეციფიკასა და საჭიროებებზე.

შესაბამისად, წინა ვიზიტისას გამოვლენილი ხარვეზი მიმდინარე მონიტორინგის ეტაპზე აღარ იკვეთება.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.1 - დაკმაყოფილებულია.

2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

წინა ვიზიტის ფარგლებში გამოვლენილი ხარვეზი უკავშირდებოდა პროგრამის განხორციელების მდგრადობის უზრუნველყოფას ადამიანური რესურსის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართული იყვნენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პროფესიული განათლების მასწავლებლები და პროგრამის განხორციელება მთლიანობაში შესაძლებელი იყო, მოდულების უმეტესობისთვის განსაზღვრული იყო მხოლოდ ერთი განმახორციელებელი, რაც პროგრამის უწყვეტობისა და ჩანაცვლებადობის თვალსაზრისით საკმარის გარანტიას ვერ ქმნიდა.

მონიტორინგის ვიზიტის შედეგად დადგინდა, რომ ზემოაღნიშნული ხარვეზი აღმოფხვრილია. წარმოდგენილი დანართი 1-ის მიხედვით, პროგრამით გათვალისწინებულ თითოეულ მოდულზე მითითებულია სულ მცირე ორი პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც ადასტურებს, რომ პროგრამის განხორციელება აღარ არის დამოკიდებული ერთ პირზე და ადამიანური რესურსი გადანაწილებულია უფრო მდგრადი მოდელით. დანართში მითითებული კვალიფიკაციები, სამუშაო გამოცდილება და პირად საქმეებში დაცული მტკიცებულებები ასევე აჩვენებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი წარმოდგენილია შესაბამისი განათლების, პროფესიული გამოცდილებისა და პრაქტიკული უნარების მქონე პირებით.

შესაბამისად, მონიტორინგის ვიზიტის შედეგად ხარვეზი აღარ იკვეთება და პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, განაწილება და მხარდამჭერი მექანიზმები უკვე უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად განხორციელებას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.2 - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

წინა ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ განმახორციელებელი მასწავლებლების პირადი საქმეები და დაადგინა, რომ მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება პასუხობდა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ამასთან, გასაუბრებების შედეგად გამოიკვეთა, რომ პროგრამის განხორციელების სპეციფიკის მიმართულებით პერსონალის პროფესიული განვითარების დამატებითი საჭიროება არსებობდა. დაწესებულებას შემუშავებული ჰქონდა შესაბამისობის გეგმა აღნიშნულის უზრუნველსაყოფად.

მონიტორინგის ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის, შიდა მარეგულირებელი აქტების, შეფასების მექანიზმებისა და გასაუბრებების შესწავლის საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ აღნიშნული საჭიროების მიმართულებით განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები. წარმოდგენილი მასალებით იკვეთება, რომ პერსონალის პროფესიული განვითარება უზრუნველყოფილი იყო როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ისე დარგობრივი და ადმინისტრაციული მიმართულებით. კერძოდ, დოკუმენტურად დასტურდება 10 ტრენინგის/გადამზადების ჩანაწერი, რომელთაგან 6 ეხება ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულებებს, ხოლო 4 დარგობრივ და ადმინისტრაციულ გაძლიერებას.

ზოგადსაგანმანათლებლო მიმართულებით ჩატარებული აქტივობები მოიცავდა შემდეგ თემებს: „კომუნიკაცია ქართულ ენაზე“, „ესთეტიკა“, „მოქალაქეობა“, „მათემატიკური წიგნიერება“, „სპორტის ინტეგრირებული მოდული“ და „მეცნიერება და ტექნოლოგიები“. ამ ტრენინგებიდან ხუთ შემთხვევაში ჩართული იყო თითო მონაწილე, ხოლო ერთ შემთხვევაში ორი მონაწილე. აღნიშნული მონაცემები აჩვენებს, რომ ზოგადი მოდულების განხორციელებისათვის დაწესებულება ზრუნავს შესაბამისი კომპეტენციების გაძლიერებაზე. დარგობრივი და პროფესიული განათლების სპეციფიკასთან დაკავშირებული ტრენინგები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია წინა ვიზიტზე გამოვლენილი საჭიროების შეფასებისას. ამ მიმართულებით წარმოდგენილია ტრენინგი „სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია და კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება პროფესიულ განათლებაში“, რომელსაც დაესწრო 4 პირი; ტრენინგი „მეწარმეობა“, რომელსაც დაესწრო 1 პირი; ტრენინგი „სწავლა-სწავლების შეფასება პროფესიულ განათლებაში“, რომელსაც დაესწრო 1 პირი; ასევე პროფესიული განათლების მიმართულებით მომუშავე ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება, რომელსაც დაესწრო 3 პირი. აღნიშნული ცხადყოფს, რომ დაწესებულებამ პროფესიული განვითარების ღონისძიებები დაუკავშირა როგორც სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიასა და შეფასებას, ისე ადმინისტრაციული პროცესების მხარდაჭერას.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.3 - დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

წინა ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ დირექტორის მიერ 2025 წლის 11 ივნისის N28 ბრძანებით დამტკიცებულ „პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნების წესში“ განსაზღვრული იყო პროგრამის ხელმძღვანელის როლი, ფუნქციები და საჭირო უნარები. ასევე დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ადმინისტრაციული სერვისები“ ხელმძღვანელად დანიშნული პირი აკმაყოფილებდა დადგენილ მოთხოვნებს, თუმცა მნიშვნელოვნად იყო მიჩნეული მისი პროფესიული განვითარების უზრუნველყოფა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების სპეციფიკის მიმართულებით. აღნიშნული საკითხი გათვალისწინებული იყო დაწესებულების შესაბამისობის გეგმით.

მონიტორინგის ეტაპზე წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადასტურდა, რომ დაწესებულებამ პროგრამის ხელმძღვანელის პროფესიული განვითარების მიმართულებით განახორციელა შესაბამისი ღონისძიებები. კერძოდ, დასტურდება, რომ პროგრამის ხელმძღვანელს გავლილი აქვს პროფესიული განვითარების აქტივობები და ტრენინგები, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულებამ წინა ვიზიტზე გამოვლენილ საჭიროებაზე სათანადო რეაგირება მოახდინა. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელის კომპეტენციების გაძლიერების მიმართულებით განხორციელებული ნაბიჯები არ ყოფილა მხოლოდ ფორმალური ხასიათის და მათ საფუძველზე უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მართვისათვის საჭირო კომპეტენციების მხარდაჭერა.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.4 - დაკმაყოფილებულია.

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

წინა ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ სკოლას ჰქონდა მზაობა უზრუნველეყო საგანმანათლებლო პროგრამაში „ადმინისტრაციული სერვისები“ მითითებული საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. ამ მიზნით დაწესებულებას მოწყობილი ჰქონდა შესაბამისი ბიბლიოთეკა, თუმცა ვიზიტის ეტაპზე რესურსების სრული მობილიზება ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული და აღნიშნული საკითხის მოწესრიგება გათვალისწინებული იყო შესაბამისობის გეგმით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში ადგილზე დათვალიერების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებამ გაატარა საგანმანათლებლო რესურსების გაუმჯობესებისკენ მიმართული ღონისძიებები და უზრუნველყო შესაბამისი ელექტრონული რესურსების განთავსება სკოლის ბიბლიოთეკაში, რაც ხელმისაწვდომია როგორც მასწავლებლებისთვის, ისე სტუდენტებისთვის. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ დაწესებულებამ უზრუნველყო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება და წინა ვიზიტზე გამოვლენილ საკითხზე შესაბამისი რეაგირება მოახდინა. შესაბამისად, შეიძლება შეფასდეს, რომ ამ მიმართულებით გაცემული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და შესრულებულია.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.5 - დაკმაყოფილებულია.

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურების გაწევას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას. სკოლის დირექტორის მიერ 2025 წლის 11 ივნისის N25 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება“ განსაზღვრავს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურებს, სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის დამატებითი მომსახურების გაწევის მექანიზმებს, აგრეთვე მოდულის მოდიფიკაციის ან/და აკომოდაციის შესაძლებლობას, რაც უზრუნველყოფს საჭიროებების დაზუსტებასა და შესაბამის საგანმანათლებლო მხარდაჭერას. დებულებით ასევე გათვალისწინებულია, საჭიროების შემთხვევაში, საგანმანათლებლო რესურსის ადაპტირება სსსმ პირის საჭიროებებზე მორგებით. მონიტორინგის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებებით დამატებით დადასტურდა, რომ სკოლას ჰყავს 6 სსსმ მოსწავლე და ამ მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება აქვს, რაც მიუთითებს, რომ შესაბამისი მხარდაჭერის მექანიზმები დაწესებულებაში არა მხოლოდ ფორმალურად არის განსაზღვრული, არამედ რეალურ პრაქტიკაშიც გამოიყენება ზოგადი განათლების საფეხურზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.6 - დაკმაყოფილებულია.

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ადმინისტრაციული სერვისები“ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ ვაუჩერული წესით და დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროგრამის განხორციელებისათვის შემუშავებული ბიუჯეტი. წარმოდგენილი დოკუმენტით იკვეთება, რომ ფინანსური დაგეგმვა ეფუძნება პროგრამის განხორციელებისათვის არსებით ხარჯვით კომპონენტებს და ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებლების ანაზღაურებას, პროგრამის ადმინისტრირებას, მასალისა და ნედლეულის ხარჯს, ასევე სხვა მიმდინარე ხარჯებს. ამასთან, 2025 წლისთვის წარმოდგენილი ბიუჯეტი ასახავს პროგრამის შესრულებისათვის საჭირო ფინანსური რესურსების განაწილებას და ადასტურებს, რომ ხარჯვითი მუხლები სტრუქტურირებულია პროგრამის საჭიროებების შესაბამისად. ბიუჯეტში ყველაზე დიდი წილი მოდის პროფესიული განათლების მასწავლებელთა ანაზღაურებაზე, რაც პროგრამის განხორციელების ადამიანური რესურსით უზრუნველყოფის მნიშვნელობას უსვამს ხაზს, ხოლო დანარჩენი ნაწილი ნაწილდება ადმინისტრაციულ, მატერიალურ და სხვა მიმდინარე საჭიროებებზე. შესაბამისად, დოკუმენტურად დასტურდება, რომ დაწესებულებას პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფის მიმართულებით განსაზღვრული აქვს შესაბამისი მექანიზმები და პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ძირითადი ხარჯვითი კატეგორიები წინასწარ არის გათვალისწინებული.

აღნიშნულიდან გამომდინარე ინდიკატორი 2.2.1.7 - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (პაკეტი);
- დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება- სსსმ პირების სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველყოფის კონტექსტში;
- პერსონალის სამუშაო აღწერილობებისა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პირადი საქმეები (ტრენინგების სერთიფიკატების ნაწილში)
- შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების უწყისები;
- პერსონალთან ინტერვიუს შედეგები;
- სტუდენტთან ინტერვიუს შედეგები;
- ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

თარიღი: 26.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: